სკოლის დასახელება	სკოლა „ქორალი“
მასწავლებელი	თეონა ფანჩულიძე
საგანი	ქართული ენა და ლიტერატურა
გაკვეთილის თემა	დერეკ ლენდი „დეტექტივი სკალდაგერი“
სწავლების საფეხური და კლასი	დაწყებითი, VI კლასი
საგაკვეთილო დრო	სამი აკადემიური საათი
მოსწავლეთა რაოდენობა	21 მოსწავლე
აქტივობების მიზნები და მისაღწევი შედეგები	• მოსწავლეს ჩამოუყალიბოს ანალიზის, დამოუკიდებელი, შემოქმედებითი და რეფლექსური აზროვნების უნარი; • მოსწავლეებს განუვითაროს საკუთარი აზრის ლოგიკური თანამიმდევრობით გამოთქმისა და სხვადასხვა დანიშნულების წერილობითი ტექსტის ანალიზის უნარი; • მოსწავლეს გამოუმუშაოს წერითი და ზეპირი მეტყველების კულტურა;
მოსწავლეების წინარე ცოდნა	დეტექტივის ჟანრის ნაწარმოებებიდან იცნობენ: „კალე ბლუმკვისტის თავგადასავალი“ „კალე ბლუმკვისტი რისკზე მიდის“ „კალე ბლუმკვისტი და რასმუსი“

<table>
<tr><td>აქტივობები</td><td>1) დაჯგუფება, ხატვა,მსჯელობა;
2) უცნობი ტექსტის წაკითხვა და კლასელებისათვის გაცნობა, ნახატებთან მიმართებით ანალიზი;
3) კროსვორდის დახმარებით წასაკითხი წიგნის სათაურის ამოცნობა.</td></tr>
<tr><td>აქტივობა 1
(45 წთ.)</td><td>
<table>
<tr><td>აქტივობის აღწერა
მოსწავლეებს ვაჯგუფებთ შემთხვევითობის პრინციპით. გადავითვლით, ყოველ პირველ მოსწავლეს მოუხდება დაჯგუფდეს მეორე და მესამე შვიდეულის პირველ მოსწავლესთან და ა.შ. სულ 4 ჯგუფი იქნება, თითოეულში _ 7 წევრი.
დაჯგუფების შემდეგ მოსწავლეებს ვთხოვთ რომ წარმოიდგინონ თითქოს მხატვრები არიან, თვისებების მიხედვით დავავალოთ პერსონაჟის პორტრეტის შექმნა. თითოეულს დაურიგდება აღწერილობა. აღწერილობები ეწერება წინასწარ დამზადებულ ფურცლებზე და თითოეულ ჯგუფში ყოველი წევრი აირჩევს ერთ მათგანს, რომელიც შეხვდება.
ფურცელზე მხოლოდ აღწერილობა იქნება მოცემული, პერსონაჟს თავად უნდა დაარქვან სახელი(იხ. დანართი 1)
ხატვის დასრულების შემდეგ ჯგუფის თითოეული წევრი წარმოადგენს ნახატს შერქმეულ სახელთან ერთად.</td><td>აქტივობის მიზანი
მოსწავლეს ჩამოუყალიბოს ანალიზის, დამოუკიდებელი, შემოქმედებითი და რეფლექსური აზროვნების უნარი.</td></tr>
</table>
</td></tr>
</table>

აქტივობა 2 (45 წთ.)	აქტივობის აღწერა მოსწავლეები ადგილებს ისევ ჯგუფების მიხედვით იკავებენ. ურიგდებათ ნაწყვეტი ტექსტიდან და ეძლევათ წაკითხვის საშუალება, ჯგუფები ერთმანეთს გააცნობენ შინაარსს. ამის შემდეგ ჯგუფის თითოეულმა წევრმა უნდა იპოვოს ტექსტში მის მიერ დახატული პერსონაჟი და ნამდვილი სახელი.	აქტივობის მიზანი მოსწავლეებს განუვითაროს საკუთარი აზრის ლოგიკური თანამიმდევრობით გამოთქმისა და სხვადასხვა დანიშნულების წერილობითი ტექსტის ანალიზის უნარი.
აქტივობა 3 (45 წთ.)	აქტივობის აღწერა იმის შემდეგ, რაც ამოიცნობენ წასაკითხი წიგნის პერსონაჟებს მოსწავლეებს ჯგუფებში დაურიგდებათ კროსვორდები, რომელიც ნაწყვეტში მოცემულ მასალაზე დაყრდნობით იქნება შედგენილი, რომელი ჯგუფიც უფრო სწრაფად გასცემს ყველა კითხვაზე პასუხს ვერტიკალურ სვეტში მიიღებს წიგნის სათაურს (იხ. დანართი 2)	აქტივობის მიზანი მოსწავლეს გამოუმუშაოს წერითი და ზეპირი მეტყველების კულტურა.
შეფასება	გაკვეთილები კომბინირებულია, ამიტომ გამოვიყენებთ როგორც განმსაზღვრელ, ასევე განმავითარებელ შეფასებას.	

გოგონა, გრძელი შავი თმით, ჯინსის შარვლითა და ბოტასებით.
გოგონას არ უყავრს სკოლა, ვერ ეწყობა კლასელებს და ერთი სული აქვს არდადეგები როდის დაიწყება.

დანართი 1

ქალი, რომელიც ბანკში მუშაობს.
უყვარს თავისი საქმე, პასუხისმგებლობის გრძნობა აქვს.
ლამაზი და ყურადღებიანია.

კაცი, რომელიც სამშენებლო კომპანიაში მუშაობს.
დაბნეულია, სახლიდან გასვლისას ფეხსაცმლის ჩაცმა ავიწყდება.

დაბალი, მსუქანი კაცი, რომელიც ადვილად ექცევა სხვისი გავლენის ქვეშ.
ხარბია, საკუთარი აზრი არ გააჩნია.

მაღალი, ლამაზი, მომთხოვნი, პრეტენზიული ქალი,
დაუკვირვებელი, ბოღმიანი,
მოუთმენელი.

ტანდაბალი კაცი,
გარშემოწერილობით და გარეგნობით ბოულინგის ბურთს ჰგავს.

ყავისფერპალტოიანი კაცი,
შარფი, ხელთათმანები, მზის სათვალე, ქუდი,
ქუდის ქვემოდან გამოჩრილი აწეწილი თმა,
სახე კარგად არ უჩანს.

დანართი 2

კროსვორდი



1. ვინ იყო სტეფანისათვის ქალი, რომელიც ბანკში მუშაობდა? (დედა)
2. ვინაა პროფესიით სტეფანის მამა? (ინჟინერი)
3. ვის დაუტოვა გორდონმა მთელი ქონება? (სტეფანის)
4. რა არ ეცვა სტეფანის მამას სახლიდან რომ გამოვიდა? (ფეხსაცმელი)
5. რომელი ფონდიდან ჰგონიათ პიროვნება, რომელიც ანდერძის წაკითხვის დღეს ბოლო გამოცხადდა? (საქველმოქმედო)
6. ვინ იყო ფეჯუიკი? (ადვოკატი)
7. გორდონის ძმა? (ფერგუსი)
8. რა დაუტოვა ძმამ მემკვიდრეობად ფერგუსს? (ნავი)
9. რა ჰქვია ფერგუსის ცოლს? (ბერილი)
10. რა შეისწორა ანდერძის კითხვისას ფეჯუიკმა? (სათვალე)
11. რა არ უყვარდა სტეფანის? (სკოლა)
12. რის წასაკითხად შეიკრიბა ოჯახი? (ანდერძი)
13. რა ერქვა სტეფანის მამის მდივანს? (გლედისი)
14. ვისი ანდერძი უნდა წაეკითხათ?(გორდონის)
15. სად გადიოდა სტეფანი მამას როცა არ ეხმარებოდა? (პლაჟზე)
16. სადაა ვილა, რომელიც სტეფანის მშობლებს დაუტოვა გორდონმა? (საფრანგეთში)
17. რა ეცვა სკალდაგერ პლეზენთვილს ხელებზე? (ხელთათმანები)
18. ვინ არის ბერილისთვის ფერგუსი? (ქმარი)
19. რა ფერის პალტო ეცვა სკალდაგერ პლეზენთვილს? (ყავისფერი)